განკარგულება:**გ-49. 49242683**
თარიღი:**24/09/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წლის პირველ და მეორე კვარტლის მდგომარეობით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სივრცითი მოწყობა და არქიტექტურის სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ რომელიმე კონკრეტული შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. 2024 წლის პირველი და მეორე კვარტლის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ ჯამში შეადგინა 79 115 ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე სამშენებლო მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 60 310 ლარი.

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტები და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, რომლის საერთო ოდენობამ შეადგინა 16 800 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერიოდულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში ზედამხედველობის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ 900-მდე წერილზე იქნა პასუხი გაცემული.

1. 63 ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2. 45 ხაზობრივ-ნაგებობაზე გაიცა ნებართვა.
3. 5 ბანერის განთავსებაზე გაიცა ნებართვა
4. 26 ობიექტი იქნა ექსპლოატაციაში მიღებული.
5. 122 ობიექტის გაყოფაზე იქნა თანხმობა გაცემული
6. 37 ობიექტის გაერთიანებაზე იქნა თანხმობა გაცემული.
7. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 21 წერილს გაეცა პასუხი 2023 წლის 1 დეკემბრამდე აშენებული შენობა- ნაგებობების ლეგალიზებაზე.

2024 წლის 23 იანვრის №28 ხელშეკრულების საფუძველზე 2024 წლის 27 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა 104 ცალი 1 100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერები, რომლებმაც ჩაანაცვლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული კონტეინერები.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სამსახურებთან, რაც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად მოხდეს წარმოშობილი პრობლემების დროულად მოგვარება.